№ 106, მაისის 23, ხუთშაბათი. 1866—1885 მაისის 23, ხუთშაბათი. № 106.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაბეჭდილნი ადგილსაკალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცი კორესპონდენტებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს აკტრარს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ჭისაც დღემდე გაზეთის ხვედრი ფული არ შემოუტანია, რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს საჩქაროდ შემოიტანონ, თუ არა ჰსურთ, რომ გაზეთის გაგზავნა მოესპოთ.

ერთის წლით მიძინებული საქმე

თბილისი, მაისის 23-ს.

შარშან, მაისში, ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით, თბილისში შეიყარა თავად-აზნაურობა იმისთანა საქმეზედ მოსალაპარაკებლად, რომელიც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ უმთავრეს საგნად უნდა ჩაითვალოს და რომლის წესიერს გარდაწყვეტაზედ არის დამყარებული 7000 კვამლი გლეხკაცის ბედ იღბალი და მრავალი თავადიშვილისაც. ჩვენ ვამბობთ ხიზნების საქმეზედ. ბევრი ითქვა მაშინ ამ საგანზედ, ბევრიც დაიწერა, მაგრამ გადაწყვეტით არაფერი გადაწყვეტილა და ამ საგნის აღძვრითა და გადაწყვეტელობით-კი დიდი ზიანი მოსდის როგორც ერთს მხარეს, ისე მეორეს.

მართლაც, რამწამს ხიზნებზედ ლაპარაკი ჩამოვარდა, ამ ხმამ გლეხ-კაცობამდე მიაღწია და, უეჭველია, ბევრს ხიზანს გულში ძნელად შესასრულებელი იმედი გაუღვიძებოდა, ბევრს ეგონებოდა, რომ ეს-ეს არის, რაკი საქმე გადაწყდება, მამული დამისაკუთრდება და მეც სხვა გლეხ-კაცსავით სრული თავისუფალი შევიქმნებიო.

მეორეს მხრით, ზოგიერთი მამულის პატრონი ამისთანა ჯერედ უსაფუძვლო ხმებმა გააბოროტეს და ამით დაირღვა ის სიამ ტკბილური კავშირი, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, სუფევდა მემამულეთა და ხიზანთა შორის.

ასეთს მდგომარეობას გამორკვევა ეჭირვებოდა და საიჯაროდ გამორკვევაც.—და აი სწორედ წლის თავზედ, როდესაც თორმეტმა თვემ გაიარა და ხელმეორედ მაისი დადგა, ხიზნების საქმე კვალად საკამათო საქმედ შეიქმნა და „უმთავრესმა რჩევამ“ ხელი მიჰყო მისს გადაწყვეტას.

როგორც შევიტყეთ, ამ საგანზედ ორი აზრი წარმოითქვა: ერთნი ამტკიცებენ, რომ ხიზანს უეჭველად „ნადელი“ უნდა მიეცეს, რომ უმიწა-წყლო გლეხ-კაცი აღარსად იყოსო, ხოლო მეორენი არა სცნობდენ კანონიერად მებატონეებისაგან ესეთს მამულის გამოწირვას და საუკეთესოდ მიაჩნდათ, რომ ეხლანდელი წეს-წყობილება, ეხლანდელი დამოკიდებულება მემამულეთა და ხიზანთა შორის კანონიერად ცნობილი იქმნას და მტკიცე საბუთებზედ დამყარდეს. მხოლოდ, თუ ხიზანმა მოინდომოს მამულიდამ წასვლა მთელი თავისი ნაამაგდარი უძრავი ქონება, როგორც სახლი, ბოსელი, ხეხილი და სხვ. მებატონეს დაუტოვოს და თუ მებატონემ დაითხოვოს, მაშინ ხიზანს მიეცეს ფასი მისი ნაამაგევისა.

ჯერ-ჯეროობით ეს ორი აზრი შეჯახებულა და, როგორც ისმის, „რჩევა“ უფრო უკანასკნელს მიმხრობია. თუ გარემოება ნებას მოგვცემს, მომდევს წერილში მოვილაპარაკებთ, ამ საქმეს ჩვენის აზრით, საუკეთესოდ როგორ მოევლება.

შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ თელავიდამ გვწერენ: „პატიოსანის მოღვაწის ევსტათი მჭედლიძის საზარელმა მოკლამ შეაძრწუნა მთლად თელავის ახალ-გაზდობა!.. სულით და გულითა სწუხან არა თუ მარტო თელავის ახალ-გაზდობა, არამედ ყველა, ვინც კი ყური მოჰკრა ამ საზარელს ამბავს“.

⊖⊖⊖ იქიდამვე გვწერენ, რომ მაისის 17 ნაშუადღევს აქ იყო მშვენიერი შხაპუნა წვიმა, რომელმაც სიცხისაგან დამწვარს მოსავალს სიცოცხლის ფერი მისცა.

⊖⊖⊖ ამისთანავე ამბავი მოგვიიდა ივრის ხეობიდან, საცა ამ ბოლოს დროს მოსულა კაი წვიმები. მართალია ყანებს და სათიბს კი ეღარა უშველა-რა, მაგრამ ვენახებს, სიმინდებს კი არგოო; საძოვარი ბალახიც ცოტა მაინც მოვა და საქონელს ეშველებაო.

⊖⊖⊖ სოხუმიდამ გვწერენ შემდეგს: „ჩვენს ქალაქს დასავლეთის მხრით ახლდა ერთი ამყრალებული და ათას გვარის ქვეწარმავალით სავსე ტბა, რომელიც თავისის სიმყრალით მთელს ქალაქში საძაგელს და დამასნეულებელს ჰაერს ავრცელებდა. სუხუმის ამ გვარი არაფერი მომხდარა. აბა, ლოთობა და საქმე ვის გაუგონია?

ყოველ მხრივ შესანიშნავია წლეულანდელი წელიწადი. როგორც სჩანს და მოგახსენებენ კიდეც, წელს ავადმყოფობაც არ იქნება ისე ხშირიო. ზუთხი მაწყინარ თევზად არის ცნობილი. წარსულ წლებში თავად-აზნაურობას ძლიერ უყვარდა ეს თევზი. ხშირად მიირთმევდენ ხოლმე, და ეს იყო მიზეზი, რომ მაისის შემდეგ როცა სხდომები დაიხურებოდა და თავად-აზნაურობა შინისკენ დაბრუნდებოდა ხშირად გაიგონებდით: ესა და ეს პატიეცემული თავადი გარდაიცვალაო; ანუ ამა და ამ კარგ აზნაურშვილს განუტევებია სულიო!“ ეხლა თავად-აზნაურობას მიუგნია ჭკუისათვის: ერთხმად უარი უთქვამთ ამ თევზის ჭამაზედ და დაილუპოს თქვენი მტერი, დალუპულა მეთევზეები. მერმე საცოდავებს ცოტა მაინც მოეტანოსთ.

***

ეტყობოდათ. საითაც არ უნდა გაბძანებულიყავით ქალაქის გარედ, ყველგან მოქეიფეებს შეხვდებოდით, ზურნა-დუდუკით. ქალაქის ბაღი გატენილი იყო ქალითა და კაცით, ასე რომ ერთიერთმანეთს ეღარ სცნობილობდენ. ბაღებში ხშირად სხვა-და-სხვა სანახავები იმართებოდა: ცხოველი სურათები, ალეგრები, კერძო პირთა ლატარეიები. ყოველთვის ქართული დრამატიული დასი გვესტუმრებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით სიცოცხლე სდუღდა და გადმოსდიოდა. წელს-კი ეერაფერს ამას ვერ შეხვდებით. სჩანს რომ ცივილიზაციას თავის ბეჭედი ჩვენს ქუთაისზედაც დაუსვამს ამ მოკლე ხანში,—სასეირნოდ და საქეიფოდ აღარავისა სცალია.

ამის შედეგია ის, რომ ბანკის საქმეები კარგად დავაწყეთ. წარსულს წლებში შეიყრებოდენ ხოლმე ღვინონასვამები და ხანჯლაობდენ. წელს-კი

ხმა ქუთაისიდამ

ბანკის სხდომები და საქმეების დაწყობა.—სადირექტოროები. — მზრუნველი ძმა.—ძველი დირექტორი.—ზ. მ. კომიტეტი.—წევრი ამ კომიტეტისა.—რევიზია. — უმიწა-წყლო თავადი.— ევსტათი მჭედლიძის მკვლელი.—„ერთი შერჩა მელასაო, კიდეგ ელის კბენასაო“.

ბანკის სხდომები დაიხურა. ბადაერჩით ერთს ჭირს, ერთს ვარამს. მადლობა ღმერთს, რომ ესრე მშვიდობიანად დაბოლოვდა საქმე.

წლეულანდელი სხდომები სრულებით არ წარმოგვიდგენდენ წარსული წლების სხდომებს. წლეულანდელი მაისის თვე, თითქო მაისი არ არის „ეითომ რატომაო?“ მკითხავს მკითხველი. რა მოგახსენო? ამის პასუხი მეძნელება. მხოლოდ შედარება შემიძლია: წარსული წლების მაისებს სიცოცხლე

ამ გვარი არაფერი მომხდარა. აბა, ლოთობა და საქმე ვის გაუგონია?

ყოველ მხრივ შესანიშნავია წლეულანდელი წელიწადი. როგორც სჩანს და მოგახსენებენ კიდეც, წელს ავადმყოფობაც არ იქნება ისე ხშირიო. ზუთხი მაწყინარ თევზად არის ცნობილი. წარსულ წლებში თავად-აზნაურობას ძლიერ უყვარდა ეს თევზი. ხშირად მიირთმევდენ ხოლმე, და ეს იყო მიზეზი, რომ მაისის შემდეგ როცა სხდომები დაიხურებოდა და თავად-აზნაურობა შინისკენ დაბრუნდებოდა ხშირად გაიგონებდით: ესა და ეს პატიეცემული თავადი გარდაიცვალაო; ანუ ამა და ამ კარგ აზნაურშვილს განუტევებია სულიო!“ ეხლა თავად-აზნაურობას მიუგნია ჭკუისათვის: ერთხმად უარი უთქვამთ ამ თევზის ჭამაზედ და დაილუპოს თქვენი მტერი, დალუპულა მეთევზეები. მერმე საცოდავებს ცოტა მაინც მოეტანოსთ.

***

ციების გავრცელების უმთავრესს მიზეზადაც ამ ტბას სთელიდენ აქაური ექიმები. ადგილობრივმა მთავრობამ რამდენჯერმე სთხოვა უმაღლესს მთავრობას ათი-ათასი მანათი მოეცათ ქალაქისათვის რამოდენიმე წლის ვადით ამ ტბის გასაშრობლად, მაგრამ ვერას გახდენ. წელს კი ღმერთმა უშველოს ჩვენს გოროდნიჩს ქატლიაროვს, რომელმაც ოცის თუმნის ხარჯით ისეთ ნაირად გააშრო ტბა, რომ დღეს ის ადგილები სამოსახლოდაც კი ეარგანან, და ამ დღეებში მუქთად დაურიგდება მსურველებს, რომელთ რიცხვი ახლაც საკმაოდ მოიპოვება. ამ ტბის გაშრობა, რომ რომელიმე ინჟინერისთვის მიენდოთ, მერწმუნეთ ვერც ასე კარგა გააშრობდა და ფულებს კი ბევრად-ბევრს მოანდომებდა“.

⊖⊖⊖ სოხუმიდამვე გვწერენ, რომ „იქაურ მომრიგებელ სასამართლოში ივნისის პირველ რიცხვებში განირჩევა ერთი ძლიერ საყურადღებო და საგრძნობელი საქმე, რომელიც მდგომარეობს კორესპონდენტის სიტყვით შემდეგში: წარსულს წელს სამეგრელოს სოფლის ეკის მცხოვრებელი სოხუმის მაზრაში, მისულა სოფელ მერხეულში და მოჯამაგირედ დასდგომია ერთ გლეხსავე. გასულა ორი სამი თვე; ბიჭი ავად გამხდარა და მომკედარა, ამის ნათესავებისთვის შეუტყობინებიათ, რომელთაგან ორი უფროსი ძმა მოსულან, უტირიათ და დაუმარხავთ მიცვალებული. შემდეგ შინ წასულან და დედისათვის უთქვამთ ყველაფერი. ბულ-დამწვარ დედას უთ-

ახლა, აღარა მკითხავთ რით გათავდა ბანკის სხდომებიო? აი, მოგახსენებთ: წარსული წლის ხარჯიც დაამტკიცეს და მომავალის წლისაც. დირექტორი ამოირჩიეს. ჯამაგირების შესახებ რეფორმებიც მოახდინეს, ესე იგი: ბუხჰალტერს ჯამაგირი შეუმცირეს და კასირს მიუმატეს. სტოროჟს, რომელსაც ერთი თუმანი ეძლეოდა თვეში, ერთი ზედამხედველი კომიტეტის წევრის რჩევით, სამი მანათი წაართვეს და მწერალს მიუნიჭეს და სხვანი-და-სხვანი. ამას გარდა ზედამხედველი კომიტეტის წევრები აირჩიეს, ანუ უკვე ვსთქვათ, იგინივე დასტოვეს უკენჭოდ. უნდა მოგახსენოთ: საზოგადოდ წელს თავად-აზნაურობას კენჭი ძიელ, სძაგდა.

***

ქვამს: რატომ მკედარი შვილი მაინც არ მაჩვენეთო, ახლა, გინდათ თუ არა, წამიყვანეთ და საფლავი მაინც მაჩვენეთო. შვილებმა ჩამოიყვანეს, ატირეს დედა საფლავზე და წაიყვანეს შინვე ეგონათ ამით გათავდა საქმე. მაგრამ გავიდა ერთი თუ ორი თვე, მიცვალებულის დედა დაიკარგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. ვერ იპოვნეს. თურმე საბრალო დედა-კაცი მკედარის შვილის სიყვარულს გაუტაცნია აფხაზეთში. ძალი სამეგრელოდამ ფეხით ჩუმად მოსულა თავის შვილის სასაფლაოსთან, ღამ-ღამობით ხელით თუ ჯოხით უთხრია შვილის საფლავი, ორ-კვირაზე გაუთავებია საფლავის თხრა. შვილის გვამი დაშლილი ყოფილა, მაგრამ ძვლები ამოულაგებია საფლავიდამ, ჩაუწყვია ხურჯინში, აუკიდია მხარზე და გასდგომია ისევ სამეგრელოსაკენ გზას ფეხით. ექვსი ღამის სიარულის შემდეგ მისულა ზუგდიდში და შესულა ვილაც ჯორდანის დუქანში. იქ ღამე გაუთევია, მეორე დღეს მეკუბოვე მოუნახავს და კუბო გაუკეთებინებია. ღამით მოუტანია კუბო, ჩაუწყვია შიგ ძვლები, ოთახის კარები დაუკეტია და გაპარულა შინ, იმ აზრით რომ შვილები და ხალხი მოიყვანოს კუბოს წასასვენებლად. სანამდის საწყალი ქალი შვილებს მოიყვანდა, მანამ მედუქნემ ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ კუბო გასინჯვის შემდეგ მიწას მიაბარა, ხოლო საქმე გარდასცა გამომძიებელს, რომელმაც გამოიკვლია საქმე და სოხუმის მომრიგებელს-მოსამართლეს გამოუგზავნა დამნაშავე დედის განსასჯელად კანონისამებრ. ვნახოთ, რა სასჯელს მიაყენებენ უმისოდაც დასჯილ დედას.

⁂ იქიდამეე გვწერენ: მაისის 18-დე ისეთი გვალვა იყო, რომ მცხოვრებლები ძლიერ შეშინებული იყვნენ და გულ-ხელ-დაკრეფილნი შესცქეროდენ ცასაო, მაგრამ ცხრამეტ მაისს კი ღამით საკმაო წვიმა მოვიდა, ასე რომ სიმინდს მაინც დასთესავენო.

⁂ ამ დღეებში თბილისის წიგნის მადაზიებს მოჰსვლიათ თხოვნები ქ. ლონდის უმთავრესი ქარხნის პატრონებისაგან; ესენი თხოულობენ ისეთს სახელ-მძღვანელოებს ქართულის ენისას, რომელთა საშუალებით მათ შეეძლოთ თავისთავად, უმასწავლებლოდ შესწავლა ამ ენისა. ამ ბოლოს დროს კავკასიას დიდი აღებ-მიცემობა აქვს ქ. ლონდონთან, ამისთვის იქაური ქარხნის პატრონებს საჭიროდ დაუნახავთ კავკასიის ერთ-ერთი ენის შესწავლა და დაუწყვიათ კიდეც შესწავლა ქართულის ენისა, რომელზედაც ლაპარაკობენ უმეტესად თბილისის ვაჭრები. („ნოვ. ობზ.“).

⁂ დიდი სანია ქალაქში სმები დადის, რომ შავ-ზღვაზედ დაიღუპა გემი „როსსია“, რომელიც ეკუთვნოდა პაკეს კომპანიას. საკვირველია, რომ ადგილობრივი აგენტი ამ საზოგადოებისა ხმას არ იღებს ამ უბედურ შემთხვევაზედ. ეს გემი, ამბობენ, ადგილობრივი ვაჭრების საქონლით იყო დატვირთულიო. („ნოვ. ობზ.“).

⁂ ოსეთის სამხედრო გზა ქუთაისიდან მოკიდებული ვიდრე მამისონის ქედამდე ისეთი გაფუჭებული ყოფილა, რომ სიარული იმაზედ არა თუ ტვირთით და ურმით, ფეხითაც კი საშიშიაო. ამ დღეებში ერთი ქვეითი კაცი კინადამ მდინარე რიონში გადავარდნილა. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გზას. („კავკაზი“).

„დროების“ კორესპონდენცია.

სოფ. ფშაველი (თელავის მაზრა). ფშაველი ალაზნის ნაპირას, ვაკე ადგილზე მდებარეობს. აქ ორასამდე კომლი სცხოვრობს. ამ სოფლის სიმდიდრეს შეადგენს პური, ღვინო და სხვა გვარი მოსავალიც. მცხოვრებთა შორის არ არის არც ერთი თავადი და არც აზნაური. აქაური გლეხები თავიანთ ოჯახის მოწყობილობით და სიმდიდრით არ ჩამოურჩებიან არც ერთს ქახეთის სოფლის გლეხებს. მაგრამ მიუხედავად ამ სიმდიდრისა, ესენი მოკლებულნი არიან ყველა იმ დაწესებულებათა, რომელთაც ამ უკანასკნელ ხანში იჩინეს თავი სხვა-და-სხვა ქახეთის კუთხეებში. არ შეიძლება კაცმა იფიქროს, რო ფშაველებს არა ჰქონდეთ სურვილი იქონიონ ამ გვარი დაწესებულებანი, მაგრამ კაცი არ არის, რომ აუხსნას მათ ამათი მნიშვნელობა. იმათ უკვე იგრძნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეხლანდელს დროში სწავლა-განათლებას და ამისათვის აგერ შვიდი წელიწადია, რაც დააარსეს სკოლა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამ სკოლაში ამდენს ხანს მასწავლებლების უვარგისობის გამო ვერ მიდიოდა სწავლა კარგად; წელს-კი ამ სკოლას ეღირსა სამასწავლებლო ინსტიტუტში კურს შესრულებული ახალ გაზდა ყმაწვილი კაცი, რომელსაც, სიმართლე ვალსა გვდებს ვსთქვათ, ძლიერ კარგად მიჰყავს სკოლის საქმე. ამ ჟამად სკოლაში ოც-და-ათამდე ქალ-ვაჟი სწავლობენ. იმედი გვქონდა, რომ სკოლის საქმის კარგად წასვლის შემდეგ სხვა დაწესებულებანიც მოგვემატებოდა, მაგრამ, თურმე ნუ ბრძანებთ, აქვე, ჩვენში ყოფილან იმისთანა პირნი, რომელთაც არ მოსწონთ ასეთი ჩვენი გამოფხიზლება და ყოველის მხრით სცდილობენ, თვალი აგვიხვიონ და უწინდელს კალაპოტში ჩაგვაყენონ. იქმნება იკითხოს მკითხველმა: განა შეიძლება ისეთი პირი იყოს, რომელსაც ესეთი განძრახვა ჰქონდესო? მაგრამ ვისაც კი თვალი უდევნებია გაზეთის „დროებისათვის,“ ის დამერწმუნება, რომ ესეთი პირები ყოველგან (და ჩვენი სოფელი ხომ „ყოველგანის“ ნაწილია) არიან. დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ჩვენ ამ გაზეთის ფურცლებზედ წავიკითხეთ, თუ რა მოწინააღმდეგეები აღმოუჩნდენ ისეთს პატიოსანს დაწესებულებათ, როგორნიც არიან ფილავის დეპო, ბიბლიოთეკა და სხვანი. დიაღ, ვიმეორებ, არიან ჩვენში ისეთი პირნი, რომელნიც გვემუქრებიან თვალების ახვევას. ამ პირების სალაყბო საგნად სკოლა გამხდარა. აღმოურჩევიათ ერთი მოთავე, სოფელი-სოფლად დაიარებიან და ხმა მაღლა გაიძახიან, რომ სკოლა საჭირო არ არისო; ის გავიდოთ, მასწავლებელი დავითხოვოთ და ამ გვარად შეკრებილი ფულით ეკლესია ავაშენოთო, რომელიც დღეს ძველია და შიგ შესვლა სასიშიაო. ამ პირების მოთავედ ითვლება მ. ლ. ბ., რომელსაც ადვილად შეუძლიან ფშაველების ასეთს თუ ისეთს გზაზე დაყენება. ამ სკოლის მოწინააღმდეგეთ კიდეც გადაუწყვეტიათ, რომ თავიანთ ხსენებული მოთავის პირით მთავრობასთან სკოლის გაუქმება ითხოვონ. ჩვენ არ ვიცით, მთავრობა როგორ შეხედავს ამ თხოვნას, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ეკლესია სკოლის მაგიერობას ვერ იზამს. მართალია, ეკლესია ძველი გვაქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც არა უჭირს რა; შემდგომისთვის სკოლაც რომ არ გავიდოთ, სხვა ფრიად გამოაქებნით საშუალებას ეკლესიის ასაშენებლად.

ფშაური.

უცხოეთი

კიდევ ვიკტორ ჰიუგოზე.

გაზეთებიდამ ცხადად დაინახავთ თუ რამდენად თანა მაზიარენი არიან სრულიად ქვეყნის განათლებული სახელმწიფონი გლოვითა და მწუხარებით მოცულის საფრანგეთისა ვიკტორ ჰიუგოს გარდაცვალების გამო. ქვეყნიურია გლოვა ვიკტორ ჰიუგოზე.

და მორჩა. მაშ ის სჯობს სადირექტორეებზე ვილაპარაკოთ. ივანე—სამება დაიშალა. ქენჭი მარტოკა ორმა იყარეს ბ.ბ. ბ—ძემ და ჯ—იანმა. ერთმა ამათგანმა საკვირველი საშუალება იხმარა კენჭოსნების მოპოებისათვის. ეს საშუალება ჯერ არ არის ცნობილი და მით უფრო ღირს-საყურადღებოა. ამ კანდიდატს ძმა ჰყავს, რომელსაც უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს სამსახურის ასპარეზზე. აი, ეს ძმა გამოადგა მას. ტყუილად კი არ უთქვამთ: „ძმა ძმისთვისა და შავ ღრისთვისაო“. ამ ძმას მოეწოდებინა სახლში კენჭოსნები და მოეხსენებინა მათთვის შემდეგი:

— მე ხომ მიცნობთ, ვინა ვარ? ის არ წარმოიდგინოთ ჩემი ძმა იყრიდეს კენჭს? სრულებითაც არა! იმის გაშავება ჩემი გაშავება იქნებაო.—საუბედუროდ ეს საშუალება არ გამოადგა ამ კანდიდატს. ჰკვირობენ ყველანი: რად მოხდა ესაო? და ¦უმრავლესობა ასე განმარტებს: „ვინაიდგან ეს საშუალება ჯერ არა-ჩვეულებრივი იყო, იმიტომ არ გამოგვადგაო, თორემ შემდგომისათვის უკეთესი საშუალება არ შეიძლებაო!“ არ ვიცი! შეიძლება ასეც იყოს. მე მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ ამ გვარი საშუალება არის იმის მიზეზი, რომ წლეეანდელი მაისი მაისს არა ჰგავს. მეკენჭეებმა იგრძნეს, რომ ამ გვარს ხრიკებს გამოსძებნიდენ და აღარ შეიწუხეს თავი. ასე წარმოიდგინეთ, რომ ქართული დრამატიული დასიც ამ წინად გრძნობას გაუჩერებია. როგორც ვნებავსთ, ისე საჯეთ, მხოლოდ მოიხსენეთ, რომ დირექტორის ლელოზე ბ. ი. ჯაიანი გავიდა.

***

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო!“ ამბობს ქართული ანდაზა. ახალი დირექტორი ვიშოვეთ, მაგრამ არც ძველი უნდა გაგვეშვა უპატივცემულოდ. ნაცვლად პატივის-ცემისა, საზოგადოებამ შემდეგის სიტყვებით მიმართა მას: „ეს ამდენი და ამდენი ფული, რომ პეტერბურგში შესჭამე, ორი თვის განმავლობაში, რა გაგვიკეთე ამის ფასიო“? ძველი დირექტორი გაბრაზდა, წამოვარდა სკამიდამ, დაჰკრა მუშტი სტოლზე და სთქვა: „როგორ მიბედავთ მაგ გვარი კითხვის მოცემასაო? ეგ უსინიდისობაააო“!

***

წელს ზედამხედველი კომიტეტის მოქმედებაც არ შეესაბამებოდა წარსულ წლების მოქმედებას. განსხვავება ის იყო, რომ წელს კომიტეტის წევრები სრულებით არ იცავდენ საზოგადოების ინტერესებს, რომელმაც მას ჩააბარა ხელში თავის ბანკის ბედილბალი. სამწუხარო ის იყო, რომ წევრები ერთმანერთს შორისაც ღრინავდენ და საზოგადოებასაც ეწინააღმდეგებოდენ.

სინიდისის ქვეშ უნდა ვსთქვა მართალი,—ერთს წევრს ამ ზედამხედველი კომიტეტისას კი ეჭირა საზოგადოების მხარე. ძნელი საცნობია ეს კაცი: თავი განათლებულად მოაქვს, პატრიოტობს მით, რომ ჩოხა აცვია, სიტყვით ანგელოზია, საქციელით „კუდა მელა“ და საქმით... რა მოგახსენოთ? ბოლო გიჩვენებთ. ის უნდა გენახათ თქვენ ბაღში, როდესაც გარს ერტყა ორმოც-და-ათამდე თავადაზნაურობა; როდესაც ცალი ხელი ქერა წვერებზე ეკიდა და, აი, რა სიტყვებით მასპინძლობდა თავის მაყურებლებს.

— მე ერთს რა უნდა მექმნა, თქვენი ჭირიმე, ხუთის წინაალმდეგ როგორ შემეძლო მებრძოლა? (ზ. მ. კომიტეტში ექვსი წევრია). მთელი წელიწადი ვეწინააღმდეგებოდი მათ და კიდეც გადამემტერენ. მერმე რისთვის? სარგებლობა მაინც იყოს რამე. რა ბრძანებაა? ვის ნახავ ეხლა—საზოგადო საქმისთვის გული სტკიოდეს.

ეს კიდევ არაფერი: მან ბაღში მხოლოდ მჭერ მეტყველობა გამოიჩინა. სხდომებზე კი თავის ფილოსოფოსობა დაგვიმტკიცა.

ეს გახლდათ სწორედ მეორე სხდომაზედ მაისის თერმომეტს, როდესაც მან შემდეგი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას.

იმავ დღეს, რა დღესაც ჰიუგომ სული განუტევა, საჩქაროდ შეიკრიბა იტალიის პარლამენტი და პალატის თავეს-მჯდომარემ, სხვათა შორის, შემდეგის სიტყვებით მიმართა კრებას: „საფრანგეთის თანამგრძნობია ამ ჟამად ყოველი ერი. ვიკტორ ჰიუგო იყო განურჩეველად ყოველ ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველი. იტალია არაოდეს არ დაივიწყებს, რომ ვიკტორ ჰიუგო იყო მის წმიდა უფლებათა მხურვალე მოსარჩლე. მადლიერი, დავალებული იტალია ცხარედ სტირის ვიკტორ ჰიუგოს დაკარგვას და თანაზიარეა საფრანგეთის დიდი ერის გლოვისა“. ამ გვარმავე თანაგრძნობამ თავი იჩინა ესპანიაშიაც. ლონდონში ნაშუადღევის სამს საათზე მისულა პოეტის მიცვალების ამბავი. ზარ-დამცემი შედეგი ჰქონია ამ ამბავს. დიდს გაზეთებს იმ დღესვე გამოუციათ დამატებანი, რომელთაც ხალხი იტაცებდა თურმე. „Central News‘ის ტელეგრაფის სააგენტოს 500 ტელეგრამა დაუკრავს შეერთებულის სახელმწიფოის სხვა-და-სხვა კლუბებსა, სამკითხველოებსა და პროვინცის გაზეთების რედაქციებში. Evening Standard-ი ამბობს: „საფრანგეთის ლიტერატურულსა და პოლიტიკურს ასპარეზზე ალარ გამოიძებნება ერთი პირი, რომლის სახელი მცირედ მაინც შეუფარდდებოდეს ვიკტორ ჰიუგოს სახელს“.

დღეს დიდი მწერალი მეცხრამეტე საუკუნისა შავ-მიწამ მიიღო, იგი დამარხა უკვე არა მარტო საფრანგეთმა, არამედ მთელმა განათლებულმა ქვეყანამ, მაგრამ ჩვენ ორიოდე ცნობას კიდე ამოვწერთ გაზეთებიდამ პოეტის დამარხვამდის და თვით დამარხვაზეაც.

ბევრი პოეტისა ესვენა უბრალოდ, მაგრამ გამოიანად მართულს, შავად გაკრულს ოთახში. შუა ოთახში, რომლის ერთს კედელზე ჰკიდია ვიკტორ ჰიუგოს შვილის-შვილების ქორწილისა და ქანის სურათები, სდგას ფართო ტახტი შავის ხისა. ტახტზედ ასვენია პოეტი; ყვავილ-ვარდებით მოფენილია სარეცელი. პოეტის სახე არ შეცვლილა. ბეგონებათ, სძინასეო მშვიდობიანის წყნარის ძილით. «Rappel»-ში სწერს ვაკერი: «იგი სწევს გაუნძრეველად, ყვითელი, როგორც მარმარილო, წმინდა და მშვიდობიანის სახით. უნებლიედ ეუბნები შენს თავს, რომ იგი უფრო ცოცხალა,— ვინემ ყველა ცოცხალნი, რის დასამტკიცებლად შეიძლება ვიხელმძღვანელოთ იმ საერთო მწუხარებით, რომელიც ქვეყნის ერთის კუთხიდამ მეორემდის გაისმის. ძარგია როცა დაგტირის ერი და არა ერთი ერი მარტო!» მაგრამ ბუნების მწარე ხვედრის წყალობით ვიკტორ ჰიუგოს დამტირებელთა შორის არ ერიენენ ისინი ვინც უფრო ახლობელნი იყენენ პოეტის გულისა — პოეტის შვილები. თვისის ცოლის, ფუშეს ქალის ხელში ჰიგოს ჰყავდა ოთხი შვილი— ორი ქალი და ორი ვაჟი. ვაჟები — ფრანსუა-ვიკტორი და შარლი დღეს ცოცხალი არ არიან; ქალთაგან —ერთი, ვაკერის მეუღლე ჯვარის-დაწერის მცირე ხნის შემდეგ დაილრჩო, მეორე-კი ჭკუიდამ შესცდა.

ჰიუგოს სამკვიდროსაგან ნახევარი ეკუთვნის პოეტის ქალს ადელი ჰიუგოს, ჭკუიდამ-შემცდარს, ნახევარი-კი ქორჭსა და ქანს, შარლ ჰიუგოს შვილებს. პოეტის სურვილით ერთი მილიონი უნდა მოხმარდეს საქველმოქმედო საქმეს—ვიკტორ ჰიუგოს სახელით თავ-შესაფარ სახლის გასამართავად. ბარდა ამისა პოეტმა უანდერძა კარგა ძალი ფული საობლო სახლს ჰერნსეიში, (ინგლისში), ლიტერატორთა წრეს, მეფეიტონეთ და კონდუქტორებს იმ საომნიბუსო გზისას, რომლითაც პოეტი მოგზაურობდა ხოლმე. პარიჟის ღარიბნიც მიიღებენ ასი ათას ფრანკს.

ეი, როგორ იწერებიან კიდე ვიკტორ ჰიუგოს მილების უკანასკნელს წამებზე:

მერვე საათზე (მაისის 10 ს) პოეტი უკანასკნელად წამოიწია ტახტზედ და წყალი მოითხოვა. შემდეგ ხუთს წამს იჯდა ლოგიანზედ, მიიხედ-მოიხედა და წაიჩურჩულა:

— ვკვდები, ქანა, გამომეთხოვე...

ქანა აკოცებს.

ლოკრუას მეუღლე, რომელიც განუშორებლად უსხდა სასტუმალთან, გამოართმევს ხელს ჰკოცნის და ეკითხება ცრემლ-მარევით.

— უკვდ არა ხართ?..

— ვკვდები... მალე მოვკვდები... მშვიდობით.

ამ დროს შემოვა ქორჭი, შვილის-შვილი პოეტისა. პოეტი აკოცებს მას, დაბუჭავს თვალებს და მიწვება. საათის ცხრაზე შემოვლენ ექიმნი სე და ვიულპიანი. რამდენიმე წამის შემდეგ ესინი გამოვლენ და გამოაცხადებენ, რომ პოეტი სულთ-მობრძავია. შუადღისას პოეტი ორჯერ გადატრიალდება ლოგინზე და ძალ-დატანებით წარმოსთქვამს:

— ქორჭ, ქანა... ვკვდები... ჩემკენ...

ისინი ჰკოცნიან... სულთ-მობრძავი შეკრთება.

ესვე განმეორდება სულის-განტევების რამდენიმე წამის წინად.

ექიმს ალიქსის, რომელსაც უჭირავს პოეტის ხელი, 1 საათ. და 27 წამ. ფერი-გადაჭკრავს, მივა საათთან და დააყენებს.... ჰიუგო საუკუნოდ განისვენებს. ქორჭი და ქანა ღრიალით მივარდებიან ბაბუას. ლოკრუას მეუღლე დაიჩოქებს ლოგინთან.

ბარედ მოგროვილს ხალხს გამოეცხადა პოეტის მიცვალება. ყველამ ერთბაშად მოიხადეს ქუდები.

პოეტის გადაცვალებაზედ რენანს უთქვამს თავისებური სიტყვა და ასე დაუსრულებია იგი:

„ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავებაზედ სარწმუნოებრივს ცერემონიას ალაგი არ ექმნება და ეს სამართლიანია. ეგ რომ ვიყო მოძღვარი, რომელიმე-ეკლესიისა და მთხოვონ უკანასკნელი პატივი ვსცე, ვალი შევუსრულო ამის გვარ მიცვალებულს, წმიდა ცეცხლში ჩავაგდებდი რამდენიმე მარცვალს თიმიამისას და ასე ვიტყოდი:

„ძმანო და დანო, როგორც ადის კომლი ამ თიმიამისა, აგრეთვე აღვიდეს ზეცას თქვენი ლოცვა-ვედრება იმ დიდებულ კაცთა სახსენებლად, რომელთა წმინდა წარმოდგენა ღვთაებაზედ არ საჭიროებს ჩვეულებრივს ლოცვა-წირვას. სული მათი იმდენად გამსჭვალულია იდეალითა, რომ უკვდავად გარდაქმნილა, ვითარცა თვით იდეალი...

ეი, ცნობები თვით დამარხვაზედ. დასაფლავების დღე მცირეოდნად დაამგვიანეს, რომ ყველა განათლებულ სახელმწიფოთა დეპუტაციებს, რომელთაც განაცხადეს სურვილი ქვეყნიურის პოეტის დამარხვაზედ დასწრებისა, მოესწროთ ამ დღეს პარიჟში. დეპუტაციას მოელოდენ ამერიკიდამაც. თუმცა მმართებლობამ საკმაო ფული გაილო პოეტის ღირსეულად დასაფლავებისთვის, მაგრამ ვიკტორ ჰიუგოს ჩაასვენებდენ უბრალო ფიჭვის კუბოში და ბალდახინიც სულ უბრალო იქმნებოდა პოეტის სურვილისა-მებრ. — ქომისიამ განიხილა ბარნიეს პროექტი პოეტის დამარხვაზე. სატრიუმფო არკის ქვემოდ უნდა მაღლად გამართულიყო კუბოს დასადგმელი ადგილი (სარკოფაგი) შავის მაუდით მორთული და ვეცხლის არშიებითა. ამ ადგილის კიდეებზედ უნდა დადგმულიყო ალეგორიული ძეგლები, რომელნიც წარმოადგენდენ პოეზიას, დრამას და სხვ. თვით გვამი მიცვალებულისა პირით ელისეის მინდვრებისაკენ უნდა ყოფილიყო მიქცეული. ბალდახინის გარშემო უნდა შემოენთოთ სანთლები მწვანის ალით. თვით არკაც შავით უნდა შეემოსათ და ზემოდ ოთხსავ

„ბატონებო! ზედამხედველი კომიტეტის წევრებმა თქვენდა დაუკითხავად, ამდენი და ამდენი ფული დახარჯეს; ეს ფულები დაიხარჯა წესიერ საქმეზე, ხოლო უკანონოდ; ამისათვის მე ვითხოვ ზემოხსენებულ წევრებს, გარდა ჩემისა, საყვედური გამოუცხადოთ „იმ ფულების შეჭმისათვის“. ეს ფულები: 400 მან. სტუდენტებს მიეცა და 800-ზე მეტი სკოლას დასჭირდა) და ჩამოართვათ უფლება შემდგომისათვის ასე მოქმედებისა“.

მკითხველმა თვით გასაჯოს, თუ რა გავლენა ექმნებოდა ამ სიტყვებს საზოგადოებაზე.

***

რომ ჩვენი ბანკი ძნელს მდგომარეობაშია—ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა და თუ ეს მდგომარეობა გაგძელდა, ავი ბედი მოელის. იძახიან: „რევიზია, რევიზია! და ალარ გვეღირსა იგი. ამ რევიზიაზე, სხვათა შორის, ბაასიც იყო რომლის დროს თ. კ. ლ—ძემ, აი, რა წარმოსთქვა.

— „ამ შემთხვევაში ჩვენ ისე დაგვემართა, როგორც შეყვარებულს ქალსა და კაცსა: როდესაც ეგინი გვთხოვდენ რევიზიას, ჩვენ არ ვქენით და ეხლა როდესაც ჩვენ ვთხოულობთ, ეგინი არ შერებიან“! სამწუხარო გარემოებაა და რა გაეწყობა? არ ვიცით.

***

შარშან ბანკს იმ გვარი მთხოვნელები მაინც არა ჰყოლია როგორიც წყლს გამოუჩნდა. მაგალითად, თ. ვ. წ-ლი. ამ ვაჭბატონმა მოითხოვა ორასი თუმანი საჩუქრად, რადგან უკიდურეს მდგომარეობაშია სიღარიბის გამო. არც ერთი მუხლი წესდებისა არას ამბობს ამისთანა საგანზე. მაგრამ თავად-აზნაურობამ მოითხოვა, წესდების მიუხედველად, შეწყნარება ამ უადგილ-მამულო თავადისა. თქვენი მტერი, რომ ბ. დ. ლ-ძე არ ყოფილიყო, ეს ორასი თუმანი მიეცემოდა მთხოვნელს და შეეწირებოდა ბახუსს, ანუ მწვანე სტოლს. ამ ფულის გადარჩენაში თ. ა. ლ-ძემაც დასდო ვალი, იგიც წინააღუდგა ამ უწესოებას და, აი, რა მოახსენა საზოგადოებას.

— მომითმინეთ, ბატონებო, მომითმინეთ! ეს ოხერი ბანკი, რომ ასე არიგებდეს ფულს, მე ვინ მომასწრებდა ფულის გამოტანას? აგერ შვიდი წელიწადია, აქა ვგდივარ.

ამ ოხუნჯობამ სიცილი ასტეხა, საგანი ლაპარაკისა გამოიცვალა და უთაბაუთო თხოვნა ალარ იქმნა შეწყნარებული.

***

მკითხველო! ნება მომეცი, მოგახსენო ერთი სასიამოვნო ამბავიც: ესტათი მჭედლიძის მკვლელების კვალს მიაგნეს. ჯერ-ჯერობით დატუსაღებულია ორი ძმა ქ—ნები. ამბობენ: „უმცროს ძმას შეუსრულებია ეს მხეცური მკვლელობაო.“ ოთხიოდ მოწამეც გამოჩნდა. მოწმები პირში უდგებიან მას „შენ არ იყავი, ნაბად — გვერდ-მოგდებული ცხენზე, რომ შებძანდიო და სხვანი-და სხვანი. ამას გარდა, ტყვია, რომელმაც გაჰგმირა საბრალო ესტათი, დატუსაღებულის რევოლვერისა ყოფილა. მერე თურმე, ერთი ლულის მეტი არ არის დაცლილი. ზულის ძგერით მოველოდებით დანარჩენი თანა მოაზრეების მონახვას. როგორც გვესმის ბევრს გაუსვრია ხელი ამ უმანკო სისხლში. დატუსაღებულები ადრეც ყოფილან შენიშნულნი.

***

ამ მართლა სასიამოვნო ამბავს, ყოველის პატიოსანის კაცისათვის, მოჰყვება მეტად საზიზღარი და შემაძრწუნებელი ამბავი. ბოროტ-მოქმედნი კიდევ არ სცხრებიან, ეს მესამედ მიულია უსახელო წერილი მის უსამღვდელოესობას ბაბრიელს, რომლებშიაც სიკვდილს ჰპირდებიან მას. „ერთი შერჩა მელასაო, კიდევ ელის კბენასაო!“ მოდი და ნუ გაგვიხარდება ამ ავაზაკების მოსპობა.

რ. ალისუბნელი.

კუთხეში შავი ბაირაღები გაემართათ.

რაკი კუბოს ასწევდენ— სამხედრო მემუსიკეთა დასებს უნდა დაეკრათ „ვიკტორ ჰიუგოს ჰიმნი“, სენ-სასისა. პროცესია გაემართებოდა ელისეის მინდვრებით, დიდის ბულვარებით და რესპუბლიკის მოედანზე მას მიეგებებოდენ სამგლოვიარო გალობით 250 ხორის მომღერალნი დიდის და კომიკურის ოპერებისა და კონსერვატორიისა. ბალდახინს უკან სხვა ექვსი კოლესნიცა გაჰყვებოდა გვირგვინებითა და თაიგულებით. პარასკევს კუბოს არკის ქვემოდ დაასვენებდენ და შაბათს მცხოვრებელთ შეეძლებოდათ თაყვანი ეცათ პოეტის გვამისათვის.

სახლი, სადაც ჰიუგო გარდაიცვალა, ქალაქს საკუთრებად ჰსურს შეიძინოს. ამის გამო მე-16 ნაწილის ბერმა შემდეგის წინადადებით მიმართა—სენის პრეფექტს: „ვიკტორ ჰიუგო გარდაიცვალა პარიჟის მე-16 ნაწილში! იმ სახლმა, სადაც იგი ცხოვრებდა და სადაც განუტევა სული, სიწმინდის თვისება მიიღო, და დიდი წინ-დაუხედველობა იქმნებოდა ამ სახლის კერძო ინტერესებისათვის მიტოვება. ინგლისელებმა მოწიწებით დაიცვეს შექსპირის სახლი. პარიჟის მოეალეობაა ვიქტორ ჰიუგოს სახლი დაიცვას. მოქალაქეთ სახელობით, რომელთაც მე მომმართეს გამოვსთქვა მათი წადილი, ვითხოვ, რომ ეს სახლი პარიჟის საკუთრებად იქმნეს შეძენილი.—მე-16 მაწილის მერი ექიმი მარმოტენი.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 21-ს.

პეტერბურგი უმაღლესად დამტკიცდა სახელმწიფო რჩევის აზრი, რომ ამას იქით რუსეთში სპირტზე და არაყზე ბაჟი გრადუსზედ ტრადუსის სპირტომეტრით ცხრა კაპეიკი დაედება.

გუშინ გლინკას საფლავზედ მოგროვდენ მისი ნაჯის პატივის მცემელნი, დაწყეს საფლავზედ გვირგვინები და გადაიხადეს პანაშვიდი.

ოფიციალურად ამბობენ იმ ხმებს, ვითომც ამ ბოლოს დროს სმოლნის ინსტიტუტში ძალიან გავრცელებულიყოს სახადით ავადმყოფობა. ზამთრის გასულს, როდესაც სახადი გაძლიერებული იყო პეტერბურგში ინსტიტუტშიაც იყო ეს ავადმყოფობა; 13 გახდა ავად და სამი მოკვდა; ესლა-კი ადარავინ გამხდარა ავადა.

პარიჟი. ჭიუგოს ბ. ლდახინთან წარმოსთქვა სიტყვა მუნიციპალურის რჩევის პრეზიდენტმა. იგი თხოულობდა სათემო თვითმართველობის ადგენას; ამ სიტყვამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. ტერემონიის დაწყებამდე პოლიციამ წაართო ხალხს რამდენიმე წითელი და შავი დროშა; პროცესსიაში მიდიოდა 12 ეკლესიელი გვირგვინებით და ამას გარდა 800 გვირგვინი მიეტანათ სხვა-და-სხვა დეპუტაციათა.

ვენა. ამორჩევები ავსტრიის პარლამენტში მშვიდობიანად ხდება; მარტო გენაში გუშინ მოუვიდათ შეტაკება ლიბერალებს და ანტისემიტებს. ამოირჩიეს ლიბერალების კანდიდატი: რამდენიმე პირი დაატუსაღეს

მაისის 18-ს.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომლის ძალითაც მაისის 6-დამ 1884 წელს ჯამაგირი ოქის სასამართლო წევრებს მოემატებათ ორმოცდა ათიდამ სამოცამდე თუმნამდე ეგრეთვე რუსეთში.

თუ კუპონებზე ხარჯი დამტკიცდა, ეს ხარჯი შემოღებული იქნება ამ წლის იანვლის პირველიდამ.

Нов. Вр. ამბობს, რომ მაისის 20-ს სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრებაში განხილულ იქმნა პროექტი ტამოჟნის ტარიფის შეცვლაზე. აზრადა აქვთ მოუმატონ ტამოჟნის ქირას ათის პროცენტიდამ ოც პროცენტამდე.

ლონდონი. გამოცხადებულ-იქმნა „ახალი ლურჯი წიგნი“: დოკუმენტები შეეხებიან ტაშ-კენპრისთან მომხდარს შეტაკებას მარტის 29 მაისის 4-მდე.

პარიჟი. ჩინეთის იმპერატრიცამ უბრძანა შავ ფეიაგებს, რომ გამოვიდენ თონკინიდამ დანიშნულ ვადამდე. ფრანცუზების ახალი მთავარ-სარდალი გენერალი კურსი თონკინში მიგიდა.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 21.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— —	$24^1/_2$, $24^9/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— —	$208^7/_8$, 210
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — —	$258^1/_4$, $259^1/_4$
პოლუიმპერიალები —	8 მ. 3 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები —	8 მ. 2 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი —	1 მ. 20 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი— —	6 და 7%
5% ბილეთები სახელწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — —	98 მ. 62 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა —	97 მ. 62 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა —	$97^1/_2$ მ. გაუ.
მეოთხე გამოც. — —	$97^3/_4$ მ. გაუ.
მეხუთე გამოც. — —	$97^1/_2$ მ. გაუ.
5% აღმას. სესხ. 100 და 1000. — — —	$95^1/_2$ მ. გაუ.
მეორე გამოც. — —	95 მ. გაუ.
მესამე გამოც. — —	95 მ. 37 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	$226^1/_2$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	202 მ. გაუ.
ოქროს რენტა — —	$168^3/_4$ მ. გაუ.

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — —	. . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდამ 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა—	—1	ბ. $2^1/_2$
მეორისა — —	—1	ბ 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისხის	—1	ბ. $4^1/_2$
მეორისა — —	—1	ბ. 3 კ.
მესამისა — —	—1	ბ. $2^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის სარის ლავაში	1	ბ. $4^1/_2$
მეორის სარის. ლავაში	1	ბ. $3^1/_2$
მესამისა — —	—1	ბ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის სარისხისა—	1	ბ. 8 კ.
მეორისა — —	—1	ბ. 7 კ.
სუკი— — —	—1	ბ. 15 კ
ცხვრის ხორცი—	—1	ბ. 9 კ

ღორის ხორცი:

პირველის სარისხისა	- 1	ბ.
მეორისა —	—1	— ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობითსაჩქ რო 10 ს. 58 წ ღამით.)

ქუთაისიდამ თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს 53 წ. დილ.)

განცხადებანი

„ივერიის“ რედაქციისაგან

რადგანაც, რედაქციისაგან დამოუკიდებლის მიზეზებისა გამო „ივერიის“ აპრილის წიგნმა დაიგვიანა, ამისათვის აპრილისა და მაისის წიგნი ერთად გამოვა ამ თვის დამლოდ.

რედაქტორი ი. ჭავჭავაძე

საუცხოოდ მცოდნე თავის საქმისა ექებს ადგილს.

თანახმაა ქალაქიდამაც გავიდეს.

ადრესი: დ. სარაჯოვის სახლების შვეიცართან. (5—1)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფიდ დის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოკანიკი, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩიცის საფსეკები, ბრობკის ამოსაღები, ბრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქაცები, უთოები, წისქვილები, სერსები, ქდიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიჟები, ზარიადები, კაბსიულები, საფანგები, ნიჩბები, ვატერბრუფი, საბნები, ჩუქქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომბეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარგასლაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—24)

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542).

(46—14)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირდა-პირ საკუთარ შენობაში. (14—14)

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.